პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

გადაწყვეტილება № 3

2016 წ. "02" 03

ქ.თბილისი

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს ადმინისტრაციული წარმოება შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელის (საიდენტიფიკაციო კოდი:202066405) ავტორიზაციის გაუქმებასთან დაკავშირებით.
2. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ფანასკერტელს მიეცეს უფლებამოსილება პრაქტიკოსი ექთნის მეხუთე საფეხურის და ოფისის მენეჯერის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები დამატებით განახორციელოს ქ. ზესტაფონში და პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 80-ით.
3. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2016 წლის 2 მარტის №2 სხდომის ოქმის მე-2 ნაწილი ცნობილ იქნას ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
ქეთევან ჯაყელი

მდივანი
ლიანა ზამბახიძე